27/12/2024

MES 4 24 0001667643

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - მალხაზ შავაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთის საჯარო სკოლა :
თამაზ ხოზრევანიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლა:
თინათინ მელანაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა:
ლენა აბაშიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლა:
ჟუჟუნა ლობჯანიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლა:
ნინო შველიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

სსიპ - მალხაზ შავაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთის საჯარო სკოლა:

ა) ნესტან სიხარულიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა ვარდმანიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გ) მედიკო ჯიქია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნელი ტეტუნაშვილი(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ქეთევანი ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 18 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განმარტა, რომ საბჭოს არ ესწრებოდა მდივანი, მანანა ჯინჭარაძე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ გადაწყვიტა, მისი ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრს, მაკა მამფორიას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - მალხაზ შავაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - მალხაზ შავაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნესტან სიხარულიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - მალხაზ შავაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 03 და 04 ოქტომბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ დასკვნაში იყო ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მითითებული იყო 250, რეალურად კი, სკოლა ითხოვდა 150 მოსწავლით განსაზღვრას.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულება დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა ორ მისამართზე, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთსა და შუასოფელში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამომავლოდ იგეგმებოდა სკოლის შენობისათვის სარემონტო სამუშაოების ჩატარება. მისი თქმით, დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სათხილამურო სპორტის განვითარებასა და ენდემური ჯიშების გადარჩენას.

ექსპერტმა, ნესტან სიხარულიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სოფელ რიყეთის საჯარო სკოლის ფოტომასალა და აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა გარე სპორტული მოედნის კეთილმოწყობა, ჰქონდა შიდა სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ამ უკანასკნელს ესაჭიროებოდა შესაბამისი რესურსებით აღჭურვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, რამ განაპირობა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე არ იყო ასახული ყველა საჭირო ინფორმაცია. ასევე, რატომ არ ჰქონდათ აჭარის მხარე „ჩემი საქართველოს“ კურიკულუმებში დამუშავებული. სკოლის დირექტორის, თამაზ ხოზრევანიძის, განმარტებით, ეტაპობრივად აპირებდნენ ინფორმაციის ატვირთვას. აქვე, ექსპერტმა, ნესტან სიხარულიძემ, დასძინა, რომ სკოლა მდებარეობდა მაღალმთიან რეგიონში და პრობლემური იყო ინტერნეტთან წვდომის საკითხი. „ჩემი საქართველოს“ კურიკულუმთან დაკავშირებით კი, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ საბჭოს წევრის შენიშვნას და გამოკვეთდნენ აჭარის მხარეს.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, რა ვითარება იყო სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვებასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვასთან დაკავშირებით.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის და ელოდა მათ ვიზიტს. რაც შეეხებოდა ლაბორატორიას, მისი თქმით, მას შემდეგ, რაც გარემონტდებოდა სკოლის შენობა, იგეგმებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა, იყენებდა თუ არა სკოლა, e-Flow-ს. აქვე, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, სატიტულო ფურცელზე არსებული გერბი ჩაესწორებინა. სკოლის დირექტორმა, აღნიშნა, რომ იყენებდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას, თუმცა, ვინაიდან რეგიონში იყო ინტერნეტის პრობლემა, ექმნებოდათ გარკვეული დაბრკოლებები.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რას აკეთებდა სკოლა ენდემური ჯიშების გადარჩენისთვის. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლის ეზოში რგავდნენ ნერგებს და ამ სამუშაოებში აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას მოსწავლეები. გარდა ამისა, იგეგმებოდა კურორტ გოდერძის მახლობლად ნერგების დარგვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მალხაზ შავაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო – 16:35
დასრულების დრო – 16:40

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მალხაზ შავაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 248058220) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი რიყეთი; ხულოს მუნიციპალიტეტი, შუასოფელი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი რიყეთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი რიყეთი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის დეკემბერში 2.2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) კომპონენტთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის აყვანის, ხოლო 2026 წლის დეკემბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის მდგრადობის და საგანგებოს სიტუაციების მართვის გეგმის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
16:45 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა, საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე

2. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანა თლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციები ს შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 27 ნოემბრის N1607966 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ 2024 წლის 12 ნოემბერს წარმოადგინა წარმოადგინა საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმირების ფორმა. ცენტრის მხრიდან, დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა დასკვნა შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ, რომელშიც ექსპერტიზის შედეგად დადგინდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციისთვის ვარგისიანობა, თუმცა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მხრიდან გაიცა რეკომენდაცია მცირე დაზიანებების აღმოფხვრასთან დაკავშირებით.
აღნიშნული დოკუმენტები შემდგომი განხილვის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა რა მცირე დაზიანებები აღენიშნებოდა სკოლას.
სკოლის დირექტორის, თინათინ მელანაშვილის, განმარტებით, სკოლას ექსპერტთა ჯგუფისგან ჰქონდა რეკომენდაცია, რომ სკოლის ტერიტორიაზე არსებული ხეები დაეცილებინა შენობისგან. მისი თქმით, აღნიშნული უკვე მოგვარებული იყო. ასევე, სკოლამ შეასრულა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

3. სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მიერ ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომე ნდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 15 დეკემბრის N1720478 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები.
დაწესებულებამ 2024 წლის 08 იანვარსა და 04 დეკემბერს წარმოადგინა მდგრადობის დასკვნა და სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების აქტი.
აღნიშნული დოკუმენტები შემდგომი განხილვის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

4. სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 28 ნოემბრის N1532609 ოქმის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ 2024 წლის 05 დეკემბერს წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ.
აღნიშნული დოკუმენტები შემდგომი განხილვის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლის (ს/კ: 237981163) მონიტორინგთან დაკავშირებით.

5. სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილებით, 2024 წლის 29 აგვისტოს N1026366 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის აგვისტოში ცენტრში წარმოედგინა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ 2024 წლის 06 დეკემბერს წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სკოლას აღენიშნებოდა გარკვეული ხარვეზები.
აღნიშნული დოკუმენტები შემდგომი განხილვის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა რა ხარვეზებზე იყო საუბარი დასკვნაში.
სკოლის დირექტორის, ნინო შველიძის, განმარტებით, სკოლას ჰქონდა ბზარები, ექსპერტთა ვიზიტიდან 1 კვირაში კი სკოლამ აღმოფხვრა ეს პრობლემა და ჩატარდა შესაბამისი კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, რომ სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლის ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლისმიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლის (ს/კ: 224081598) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:00 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
მამფორია მაკა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

ეროვნული ბიბლიოთეკა
მფლობელობა
ელექტრონული